



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ა ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი: ო65.6522076001

თარიღი: 17/03/2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 16.03.2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა ვოგოძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - **სალომე ფახურიძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**;
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ივანე მამფორია

თანამომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

2. „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

თანამომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს.: დავით გაბუნია

თანამომხსენებელი: ვლადიმერ ჭვალაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: მიხეილ სვანაძე

თანამომხსენებელი: რამაზ არველაძე

5. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე;

მომხს.: გელა ჩიკვაიძე

6. „ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის

განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: გიორგი ივანიანი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანიანი მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის N5 დადგენილებით დამტკიცდა „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა“. ბიუჯეტში ცვლილების პროექტის მიხედვით, დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი პროგრამის აღწერა ჩამოყალიბდება ახალი, ზემოთაღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

კონკრეტულად:

5.2.16) ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (კოდი 06 02 16)

1. პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომლის გამოყენებაც უნდა მოხდეს ბავშვის სასწავლო პროცესში ჩასართავად, საკანცელარიო და სასკოლო ნივთების შესაძენად, ბავშვის კვების, ჰიგიენური საშუალებებისა და მედიკამენტების ხარჯების დასაფინანსებლად. ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 300 ლარის ოდენობით.

2. პროგრამა ითვალისწინებს ვანთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის, გარდა ფსიქოლოგიური მუშაობისა, დასაქმების ხელშეწყობას მუნიციპალიტეტში. შესრულებული საქმიანობა ანაზღაურდება ბენეფიციტის სახით ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით (არანაკლებ საარსებო მინიმუმისა), დასაქმების ვადა განისაზღვრება ოთხი თვით. სამუშაო გრაფიკი ყოველ ბენეფიციტარზე შემუშავდება ინდივიდუალურად.

3. პროგრამით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც განიცდიან მძიმე კრიზისულ მდგომარეობას ან საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე. დახმარება შეიძლება გაიცეს მრავალჯერადად, წელიწადში ჯამში მაქსიმუმ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ასევე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გაიზრდება 580,0 ათასი ლარით. პრექტების დეტალური ნუსხა წარმოდგენილი იქნება განკარგულების სახით, სოფლის კრებების

დასრულების შემდეგ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი -1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

დადგენილება N 8

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ამ დადგენილების მიღების მიზანია, სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ეს წესი ვრცელდება ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტულ წრეებში აღზრდილ და ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე. ფულადი ჯილდო გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე ვანის მუნიციპალიტეტის სახელით და საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს სახელით მოასპარეზე ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სპორტსმენებზე, რომლების სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, ტურნირებზე, ჩემპიონატებზე და ასპარეზობებზე წარადგინა: სპორტის ფედერაციამ, ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა სასპორტო დაწესებულებამ, სხვა უფლებამოსილმა პირმა ან ორგანიზაციამ, შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა პირადი ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენი უნდა იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

დადგენილება N 9

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით

მომხსენებელმა დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, შევიდა ცვლილება 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში, კერძოდ მოხდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში ცვლილება. ცვლილება განპირობებულია იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს დაემატება სოციალური მუშაკის ერთი შტატი. გამოცხადება ამ შტატზე კონკურსი, სადაც კონკურსის წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაინიშნება შესაბამისი პირი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1(დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 10

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

დადგენილების მე-5 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დაავადებული ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, ცნობა ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა. ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო 90 (ოთხმოდგინათი) დღის განმავლობაში ბენეფიციარის ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ ცნობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 11

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 2 მარტის მოხსენებით ბარათის საფუძველზე თებერვლის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხათ 675 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე“;

განკარგულება N გ-65.65220751

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვიორჯი ივანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავა ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მიზანს, ამოცანას, საქმიანობას, საქმიანობის ინდიკატორს. სამოქმედო გეგმის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს გენდერული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ მიმართულებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.65220752

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

